0-80

ალექსიკა

„ბუნ“

ახალი ანბანი



ტიფლისი III სერია

ობოლოსი

36740



„ბაბნ“

ახალი ანბანი

სამშობლო შვილსა ერთგულსა
ითხოვს ყოველთვის, ყოველგან
და ნუ უმტყუნებ შენს მშობელს...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: „ბ“.

„ვეკა“

წიგნი III

წვრილი ამბები

თბილისი

საქართველოს აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Г.С.С.Р.

Дозв. цензурою Тифлисъ, 17 Января 1892 г.

სტამბა წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

Тип. Груз. Издат. Товарищ.



მშიერი მელა

ელას შიმშილით კუჭი ეწვოდა. ამ დროს ერთი მსუქანი ერკემალი გარბოდა და დუმას მიათამთამებდა. მელამ რო ეს დაინახა, იფიქრა: ამ ერკემალს დუმა ისე ენძრევა, რო უთუოდ გზაში სადმე დაჰვარდებაო, და უკან დაედევნა. მაგრამ ერკემალს დუმა არ დაჰვარდა და მელა-კი შიმშილით მოკვდა.



ქურდბაცაცა

ებიამ თვლა არ იცოდა. ერთხელ ჩურჩხელები შეინახა და ასე ჩათვალა: „წყვილი, წყვილი, წყვილი, წყვილი....“ შეამჩნია ეს იმისმა შვილიშვილმა, მიეპარა, ამოიღო ერთი წყვილი ჩურჩხელა და შეჭამა. რამდენიმე ხნის უკან ბებიამ ჩურჩხელები გადათვალა და ვერა შეატყო-რა, ისევ წყვილი იყო. მიჰყო მაშინ-კი შვილიშვილმა ხელი და ყოველ დღე წყვილ-წყვილ ჩურჩხელას შეექცეოდა. ბებიაც ყოველ დღე სთვლიდა და ჰკვიროობდა: „რა ვქმნა! ეს ჩურჩხელებიკი ისევ წყვილია და, თითქოს, ცოტავდებაო!“

ყმაწვილი და კრუხ-წიწილა

ედა სხვაგან მიდიოდა. შვილს უთხრა: „შვილო, წიწილებზე თვალი გეჭირო, არ დაიკარგნენო!“ დედა რო გაიგული, შვილმა ერთი გრძელი ბაწარი იშოვა, წიწილები ერთმანეთზე გადაბა და ისე დაყარა,— ეხლა სად-ღა ჯანაბას დაიკარგებიანო, და თითონ სათამაშოდ მოჰკურცხლა. გაჩნდა ამ-დროს ძერა, დაეშო ძირს, დასწვდა ერთ წიწილას და ყველანიც ჩანჩხურასავით თან აჰყვნენ. მოვიდა დედა, ნახა — და ხახა მშრალი-კი დარჩა.



ხერხიანი კურდღელი

ურდღელს ბაჭიები ეყოლა. ძუძუს წოვება ძლიერ ეზარებოდა. სულ რო არ მოვაწოვო, ხო არც ის შეიძლება და, მოდი, ვადას მაინც შევუმოკლებ როგორმეო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ასე ჰკითხათ: სამი თვე გაწოვოთ ძუძუ თუ საااااამი დღეო? — საااااამი დღეო, — უთხრეს ბაჭიებმა, — ეგონათ, გრძლად რო სთქვა, ალბად, გრძელი ხანიც სწორედ ეს იქმნებაო.



ორი ბებერი

ორი ბებერი დედაკაცი დერეფანში იჯდა. ერთს მუხლებზე საკერავი ედო და ნემსს ულირლიტებდა, ძაფის აგება ეწადა. მეორე ამ მთისას, იმ მთისას უამბობდა. პირველი ბებერი ეწვალა, ეწვალა, არ იქმნა, ნემსი ვერ ააგო. მიუბრუნდა მერე მეორე ბებერსა და სთხოვა: „ერთი ეს ნემსი ამიგეო“. ჩამოართვა იმანაც ნემსი, ატრიალა ხელში, ატრიალა, თავბედისა ვერა გაუგო-რა და ისევ პირველს დაეკითხა: „მითხარი ერთი, თუ ღმერთი გრწამს, ყუნწი საითა აქვსო“.



ჭკვიანი მონადირე

ერთი მონადირე ხეზე იჯდა, ხელში თოფი ეჭირა და ფრინველს უთვალთვალებდა. ვნახოთ, შემოჯდა მტრედი. მონადირემ თოფი მოიმარჯვა

და, ის იყო, როგორც-კი უნდა მოესხლიტა, მტრედმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა. მონადირეს ჯავრი მოუვიდა, გაუშვა ხეს ხელი და მიაძახა: თუ კი შენ „ტყლაშ“, მე კი ველარ „ტყლაშო“! დაჰკრა იმანაც ტაში, უნდოდა გაფრენილიყო და ძირს მიწაზე-კი ბრაგვა მოსძვრა.



თავისი თავის დასჯა

ედო ბეჟანმა გააჯავრა. დასტაცა თედომ ბეჟანს ყურში ხელი და მთელი სოფლის ბოლო ისე შემოარბეინა. საღილობისას თედო შინ მოვიდა; ისე დაქანცულიყო, სულს ძლივს იბრუნებდა. შინა ჰკითხეს: „სად იყავ, თედო, ასე რამ დაგღალაო?“—ჩვენებიანთ ბეჟანმა გამაჯავრა, მაგრამ, ღვთის წყალობა გაქვთ, მეც კაი დღე დავაყენე: ჩავჭიდე ყურში ხელი და მთელი სოფლის ბოლო ისე შემოვარბეინეო,—უპასუხათ თედომ. „კარგი-და, ყურში რო ხელი გეკიდა, ის სოფლის ბოლო შენ-კი არ შემოირბინეო?“ უთხრეს შინაურებმა და გადაიხარხარეს.

უმეცარი

ერთ დედაკაცს საკაბე ჩითი უნდოდა. მივიდა დუქანში, ამოარჩია ჩითი და ფასი იკითხა. მედუქნემ არშინი 18 კაპეიკად დაუფასა. დედაკაცმა კაპეიკობით ანგარიში არ იცოდა და ასე უთხრა: „მე კაპეიკ-მაპეიკებისა არა ვიცი-რა. გინდა, არშინი ხუთ შაურად მომე, არადა, შენი ნებაა.“



მელას აქლემის მეგობრობა არ

გამოადგება



ელა და აქლემი დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. გზაში ერთი პური იპოვეს. დასტაცა აქლემმა პურს პირი, აიტაცა მაღლა ჰაერში და დაუწყო ჭამა. მელია ტირილით ფეხთ ეხვეოდა: „მეგობარო! ცოტა მეც მიწილადე, შიმშილით მუცელი მეწვისო!“ აქლემი-კი ყურსაც არ იბერტყავდა. შესწუხდა მელია მეტის შიმშილით და აქლემს ფეხებში კბენა დაუწყო, ეგების ყური მათხო-



ვოსო. მაგრამ გაბრაზებულმა აქლემმა დაჰკრა მელას ფეხი და გასრისა.



დანათესავება

ოფლის ბიჭები მოგროვილიყვნენ და ერთი დიდი კაცის ქებასა ლაპარაკობდნენ. ერთ იმათგანს უნდოდა, თავი გამოეჩინა, თავის ამხანაგებზედ უფრო მეტი ყოფილიყო და ასე დაიქადნა: „ბიჭოდა, ის ხო ჩვენი ნათესავია!“ — როგორაო?! — ჰკითხეს გაკვირვებულმა ამხანაგებმა. „როგორ-და“, სთქვა თავმომწონემ, „ერთხელ იმათი მამალი ჩვენ ბანზე შემოფრინდაო.“



ორი მეგობარი

ეცი კაკალსა ჰბერტყავდა. მივიდა იმასთან ერთი სხვა კაცი და ქვევიდგან შესძახა: „ივანე, ივანე! ცოტა ხანს

ძირს ჩამო, საქმე მაქვსო!“ — ისეთი რა საქ-

მე გაქვს, კაცო! არ შეიძლება, სახვალიოდ გადასდოვო?—„არა, არა! საჭირო საქმეა, ცოტა ხანს ჩამო და მერე ისევ ადიო“. გაანება ივანემაც თავი კაკლის ბერტყვას და ჩამოვიდა; მიუახლოვდა მაშინ ის მეორე კაცი და ყურში წასჩურჩულა: „საალდგომოდ ლიტანია მე და შენ ერთად შემოვუაროთ, პიროობა სხვას არ მისცეო“, და წავიდა.

კაი მწყემსი

ერთ მწყემსს მინდორში ცხვარი ედგა. მივიდა იმასთან მშიერი მგელი და ერთი ცხვარი სთხოვა. მწყემსმა არ მისცა,—ბატონი გამიჯავრდებაო. „მაშ წადი და შენს ბატონს შემა-

ხვეწე, რო ერთი ცხვარი მიბოძოსო,“ უთხრა !მგელმა.—კარგი, მაგრამ ცხვრის ფარა ვის სინაბარა დავტოვოო?— მგელმა შეჰფიცა დიდის ფიცით: „შენს მოსვლამდე მე მოვუელი და ხელს არავის ვახლებინებო.“ დაუჯერა მწყემსმა მგელს სიტყვა, იახლა ბატონს და მოახსენა მგლის დანაბარები. ბატონმა დაუვლო კეტს ხელი და დაუყვირა: „შე ბრიყვო, შენა! მგლისათვის ცხვარი ვის ჩაუბარებიაო?“





მკივანა მელია

ელას ძლიერ შესცივდა. ცხრა მთას იქით ცეცხლი დაინახა და ფეხი იქით გაიშვირა, ვითომ-და, გავითბობო. მელას გვერდით თავისი შვილი



ედგა. შვილმა ერთბაშად თვალს ხელი

იტაცა და დაიყვირა: „ვაი, დედავ, მიშველ!“ — რა დაგემართაო! — ჰკითხა დედამელიამ. „თვალში ნაპერწკალი ჩამივარდა და დამწვაო“, უპასუხა შვილმა.



ბუ და არწივი

უმ არწივს მოციქული მიუგზავნა: შენ დღის ფრინველთა მეფე ხარ, მე ღამის ფრინველებისა და, მოდი, დავმძახლდეთ — შენი ქალი ჩემს ვაჟს მიეო. მოეწონა არწივს ეს აზრი და ნება მისცა. ქორწილი დღით იყო დანიშნული. ბუ ვერასა ჰხედავდა და ქორებმა სასაცილოდ აიგდეს. ბუ გაწყრა ამაზე და მძახლობა ისევ მოეშალათ.



მოუფიქრებელი გაფრთხილება

ორი ამხანაგი მიდიოდა გზასა: ერთი წინ, მეორე უკან. გზაში, თურმე, პირღია ორმო იყო. წინამ ვერ შეამჩნია და შიგ ყლაპა მოსძვრა. მოვიდა მეორე ამხანაგი ორმოს პირს და ზევიდგან ჩასძახა: „შენ მანდ დაიცადე, მე წავალ, თოკს მოვიტან და ამოგიყვანო“. ქვევითა ამხანაგს გაეცინა და ასე ამოსძახა: „რო არ დავიცადო, სად უნდა წავიდე, განა რა შემიძლიანო“?!



კაი პატრონი

აცი ვირსა და აქლემს მოერეკებოდა. სოფელს კარგა გამოსცდა, მინდორში გამოვიდა. იქ უცებ მოაგონდა, რო ერთი რამ საქმე კიდევ დაჰვიწყებოდა. უნდოდა უკან მიბრუნებულიყო, მაგრამ არ იცოდა, საქონლისათვის რა ექმნა. იყურა, იყურა, გარს სულ ტრიალი მინდორი იყო და ერთი ხე არსადა ჩანდა, რო ხეზე მაინც გამოება. ბოლოსა სთქვა: მოდი, აქლემს დავაჩოქებ, ვირს ზედ გამოვაბამ და ორივე დაბმულები იქმნებიანო. სთქვა და აასრულა კიდეც. თითონ უკანვე წავიდა, მიისაქმ-მოისაქმა და ისევ ჩქარა გამობრუნდა. მოვიდა, შეჰხედა

თავის საქონელს ტ პირ კატა-კი ეცა: აქლემი

ფეხზე წამომდგარიყო და გაგუდული ვი-
რი ფეხებს ჰაერში ათამაშებდა.



კაცი და მგელი

ერთ ვირი დაჰკარგოდა და იმას დაეძებდა. შემოეყარა წინ მგელი და ჰკითხა: „რამ დაგალონა, კაცო, რა დაგმართებიაო?“ კაცმა უპასუხა: — ერთი ვირი მყვანდა, დავკარგე და იმას დავეძებო. — „რო იცოდე, ის ვირი ხო მე ვიპოვეო,“ უთხრა მგელმა. — მაშ, მოიტა, მომე და საპოვნელას მოგცემო. — „აბა საიდგან-ღა მოგცე! ის შენი ვირი ტალახში ჩაფლულიყო, დავინახე თუ არა, ვიცან და საშველად გავეჩქარე. დიდი ხათრი მაქვს შენი, ხო იცი, და მთელი სამი დღე მოვანდომე იმის განთავისუფლებას. შრომა და ჯაფა არ დამიზოგია, ღმერთმა ხო იცის...“ — კარგიდა, ამოიყვანე იმ საფლობიდან თუ არაო? —

გააწყვეტინა სიტყვა ბრაზ მოსულმა კაცმა.



— „ამოყვანით-კი ამოვიყვანე, მაგრამ ვიცოდი, ღარიბი კაცი იყავ, საპოვნელას ვერას მომცემდი და ჩემს გასამრჯელოში მევე გიახელიო“.



დათვი, ტურა და მელია

აძმობილდნენ დათვი, ტურა და მელია. წავიდნენ საშოვარზე. იარეს, იარეს და ერთი ბატის მეტი ვერა იშოვეს-რა. ყველას არ ეყოფოდათ და რომელს შეეჭამა, არ იცოდნენ. ბოლოსა სთქვეს: მოდი, ვინც ხნით ყველაზე მეტი იყოს, ბატი იმან შეჭამოსო. ტურასა ჰკითხეს: შენ რა ხნისა ხარო?—ადამი რო დაიბადა, მეც მაშინ დავიბადეო. ტურამ რო ადამი ახსენა, მელამ ტირილი ამოუშვა. რა გატირებსო? ჰკითხეს ამხანაგებმა. „როგორ თუ რა მატირებს! ადამი რო დაიბადა, მაშინ მე სულ უფროსი შვილიშვილი მომიკვდაო.“ დათვმა რო

ესენი გაიგონა, სთქვა: „თუმცა მე ხნით



ოთხის წლისა ვარ, მაგრამ ბატს-კი არა-ვის დაგანებებთო“. სთქვა ეს და ბატს კნა-წაკნუწი დააწყებინა.



რ ე გ ვ ე ნ ი

ეგვენს ერთი აბაზი ჰქონდა. სთქვა: წავალ ქალაქს და ერთ კაი ვირს ვიყიდიო. მივიდა ქალაქში, ჩაიარა ბაზარში, ნახა, ერთგან ერთ დიდ საზამთროსა ჰყიდიან. რეგვენს თავის დღეში საზამთრო არ ენახა, გაუკვირდა და იკითხა: ეგ რა არისო? შეატყო მედუქნემ, უმეცარიაო, და დაცინვით უპასუხა: „ეს ინდოეთის ვირის კვერცხია, ძვირფას ვირს მოიგებსო“. უამა ამ კაცს, შეევაჭრა, მისცა აბაზი და სიხარულით გასწია შინისაკენ. მედუქნემ ერთი-კი გამოსძახა: „ჰა! ფრთხილად წაიღე, ხელიდან არ დაგვარდესო“, და დაიმალა. რეგვენმა გზაში აკი ქვას ფეხი წამოჰკრა: საზამთრო ხელიდგან დაჰვარდა, დალმართზე

დაუგორდა და ერთ ბუჩქში ჩაიჭედა. იმ ბუჩქში, თურმე, კურდღელი იჯდა; გულ-

გახეთქილი კურდღელი წამოვარდა ფეხზე და მოჰკურცხლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. რეგვენს ეგონა, ეს სწორედ ჩემი ვირის კვერცხიდან გამოჩეკილი ჩოჩორიაო, და მისძახოდა: „ქური, ქური! სად გარბიხარ, ინდოეთის ვირის კვიცო, მოდი ჩემთან, ჩემი ხარო!“

მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია



ამა თავის ქალს გათხოვებას უპირებდა. ქალს გათხოვება-კი უნდოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანობდა. ერთხელ ეს ქალი ერთ თუთის ხეს ქვეშ იჯდა, საკერავსა ჰკერავდა და გულში თავის გათხოვებაზედა ჰფიქრობდა: ვთქვათ, მე ეხლა ქმარი შევირთე; ვთქვათ, ერთი წლის უკან შვილი მეყოლა; ვთქვათ, ჩემი შვილი წამოიზრადა და ხეზედ ასვლა შეიძლო; ვთქვათ, ეხლა სწორედ ამ ხეზედ არის ასული, თუთასა სჭამს და უნდა, რო ცოტა თუთა მეც დამირხიოს; ვთქვათ... ამ დროს ტოტს ფეხი დააცდინა და თავდაყირა გადმოეშვა... ვაიმე, შვილო! ვაი შენს დედასა!...—დაიძახა ქალმა, გააგ-

დო ხელიდგან საკერავი და მოჰყვა ტი-
რილსა და თავში ცემას. მამას ტირილის

ხმა შემოესმა, მივიდა თავის ქალთან და
მიზეზი ჰკითხა. ქალმა სლუკ-სლუკით უპა-
სუხა: „ეხლა ასე და ასე ვფიქრობდი და
მართლა რო ამიცხადდეს, რაღა მეშველე-
ბა!.. არა, მამავ, მე თავის დღეში არ
გავთხოვდებიო!...“



უსამართლოდ დასჯილი

ერთ ღარიბ კაცს თავის ბაღში გულაბი მსხალი ედგა. ერთ წელიწადს ამ ხემ ბევრი მსხალი მოისხა. გლეხმა იფიქრა: მოდი, მოვკრებ ამ მსხალს და ხელმწიფეს მივართმევ — მოწყალებას მოიღებსო. დაკრიბა და წაიღო. სასახლეში რო მივიდა, დაჰხვდა იქ კარის კაცი; ჩამოართვა იმან ძღვენი და უთხრა: „შენ აქ მოიცა და მე მოვახსენებ მეფესაო“. სანამ ის კარის კაცი პასუხს რასმე გამოუტანდა, მოვიდა ერთი ჯარის უფროსი და თან ტყვეები მოიყვანა. ტყვეები იქ დასტოვა, სადაც ის გლეხი იყო და თითონკი მეფეს იახლა ამბის მოსახსენებლად. მცირეს ხანს უკან გამოვიდა თვით მეფე და განრისხებულის ხმითა ბრძანა: „წაიყვა-

ნეთ ყველა ესენი და ციხეში ჩაყარეთო“! მოუსვეს მართლაც ხელი და ყველანი ციხეში ჩაკეტეს. ვერ შეამჩნიეს, თურმე, და თან მიაყოლეს ის გლეხიც, მეფეს რო მსხალი მიართვა.

გავიდა იმის შემდეგ კარგა ხანი, მეფეს ვაჟიშვილი ეყოლა. მეფე ნასიამოვნები იყო და იმ დღეს დიდი მოწყალება გასცა. დაიბარა თავისთან ის ტყვეებიც, გაანთავისუფლა და ოქრო-ვერცხლიც უწყალობათ. ყველამ სიმდაბლით მიიღო ეს მეფის წყალობა, მაგრამ იმ უსამართლოდ დასჯილმა გლეხმა ასე მოახსენა: „თუ არ გამირისხდები, დიდებულო მეფევ, მაგ ოქრო-ვერცხლის მაგიერ ერთი ცული და ერთიც ქალალდის ნაგლეჯი მიწყალობეო.“ მეფეს გაუკვირდა და ჰკითხა: „რად გინდა ან ცული და ან ქალალდიო?“ გლეხმა უპასუხა: „იმ ცულით იმ გულაბი მსხლის ხეს მოვჭრი და იმ ქალალდზედაც იმ ანდერძს დავწერ, რო

37
ა 949

არამც და არამც ჩემმა მოდგმამ ესე ჩემსაებ თავხედობა აღარ ჩაიდინოს და დიდკაცს პატივისცემა არ გაუბედოსო.“ როდესაც მეფემ შეიტყო იმისი წყრომის მიზეზი, მოეწონა გლეხის პასუხი და ერთი ათასად დაასაჩუქრა.

37
ა 949

ვლ. ალნიაშვილის მიერ [illegible]
ხელმძღვანელოები:

1) „ან“, წერა-კითხვა . . . . . 10 კ.
2) „ბან“, წვრილი ხალხური ლექსები . . . 10 კ.
3) „გან“, წვრილი ხალხური ამბები . . . . 10 კ.
4) უბის ლექსიკონი . . . . . 30 კ.
5) ხალხური ზღაპრები წიგნი I, გამოცემა „ქართველთა ამხანაგობისა“ . . . . . 40 კ.
6) „Первый шагъ“ въ изученіи грузинскаго языка, გამოცემა „ცენტრალური წიგნის მაღაზიისა“ . . . . . 30 კ.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა:

1) „დონ“, წვრილი ხალხური ამბები . . . 10 კ.
2) „ენ“, გასართობი . . . . . 10 კ.